საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-10/82

ქ. ბათუმი 01 აგვისტო, 2022 წ.

„ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 25 ივლისის N01-10/95 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე, 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15, 66-ე, 66[1]-ე და 69-ე მუხლების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 09 სექტემბრის N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ბსუ-ს შინაგანაწესის, ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის №07-01/06 გადაწყვეტილების და ბსუ-ს საერთო საცხოვრებლის მენეჯერის თემურ გოგიტიძის 2022 წლის 27 ივლისის №849102 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 25 ივლისის №01-10/95 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ ბრძანების N1 დანართში (წესის) **მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შესაძლებელია სასწავლო წლებს შორის პერიოდში (საზაფხულო არდადეგები) საერთო საცხოვრებლით სასყიდლიანი სარგებლობის უფლება **მიენიჭოს (ან გაუხანგრძლივდეს):**

ა) **აქტიური სტატუსის მქონე ბსუ-ს** სტუდენტს ან პროფესიულ სტუდენტს - თუკი წარმოადგენს საცხოვრებელი ფართის <u>საჭიროების თაობაზე დასაბუთებულ განცხადებას</u> და ცნობას დასაქმების ადგილიდან. საერთო საცხოვრებლის მობინადრისათვის სარგებლობის ვადის გახანგრძლივება, თუკი არ იცვლება პირობები და სარგებლობის ვადა, არ საჭიროებს მობინადრესთან ახალი ხელშეკრულების დადებას (გამოცემული სამართლებრივი აქტი ეცნობება სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს).

ბ) სხვა პირებს - სასწავლო წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს ან საზაფხულო არდადეგების დროს, საერთო საცხოვრებელში თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში.".

2. ბრძანება და კოდიფიცირებული ,,ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის წესი“ გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“, ,,სტუდენტის გზამკვლევში“ და ,,პროფესიული სტუდენტის გზამკვლევში“).
3. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, რექტორის აპარატს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, ბსუ-ს საერთო საცხოვრებელის პერსონალს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, პროფესიული პროგრამების მართვის და უწყვეტი განათლების ცენტრს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და იურიდიულ დეპარტამენტს.
4. ბრძანება ძალაში ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი _____ იაკინთე ჩხარტიშვილი